სახალხო გაზეთი

№ 763 შაბათი, 1 დეკემბერი 1912 წ. № 763

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ-არ ინახება. ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ კვირას, 2 დეკემბერს, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის გათავებისთანავე. 1618

კნეინა ბარბარე ალექსანდრეს ასული და **თავ. ალექსანდრე მიხეილის ძე სუმბათაშვილები** შვილებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი მათი შვილის

ურუშიკასი

გადახდილ იქნება კვირას, 2 ქრისტიშობის თვეს. ქვაშვეთის ეკლესიაში პირველ საათზე. 838.

მარიამ კონსტანტინეს ასული ჯაჯანაშვილისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 ნოემბერს გარდაიცვალა პირველის საყვარელი დედა და მეორეთა დიდედა

პელაგია იოსების ასული ჯაჯანაშვილისა.

პანაშვიდი დანიშნულია დღეს, საღამოს 7 საათზე. ცხედარს ბინიდან (ველიწის ქუჩა, № 16) გამოასვენებენ კვირას, 2 დეკემბერს, დილით და დაკრძალავენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა
კვირას, 2 დეკემბერს,
ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ გაიმართება

სამხატვრო-სალიტერატურო დილა

სამ განყოფილებ. დ: 1) **ბ-ნი მ. წულუკიძე** წაიკითხავს რეფერატს
მე-XIX საუკუნის ქართულ მწერლობაზე.
2) **ცოცხალი სურათი, მე-XIX საუკუნეს ქართველი მწერლები** (დეკლამაციით გრიმებსა და კოსტიუმებში).

შოთა რუსთაველი.

ბარათაშვილი—ვ. შალიკაშვილი; **ალ. ჭავჭავაძე**—დ. მგალობლიშვილი; **ილ. ჭავჭავაძე**—ნ. ერისთავი; **ვ. ორბელიანი**—ვ. მატარაძე; **გრ. ორბელიანი**—ვ. გუნია; **მ. გურიელი**—კ. მესხი; **გრ. აბაშიძე**—ი. ზარდალიშვილი.

3) **პარიზელი ბიჭი** კომ. 2 მოქ., თარგ. ბ. ჯორჯაძისა და დ. ერისთავისა. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, ლოლუა, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი აბდუშელი, გედევანოვი, სარაული, შალიკაშვილი.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დასაწყისი შუადღის 1 საათზე. ადგილ. ფასი დაკლებულია.

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

ანონსი: ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, ბენეფისი ქ-ნ **ნ. დავითაშვილისა.**

ტფილისის სახაზინო თეატრი

ორშაბათს, სამს დეკემბერს,

ტფ. სათავად-აზნაურო ქალთა სკოლის სასარგებლოდ

ჰუგენოტები

ოპერა 4 მოქ., მუს. მეიერბერისა.

ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. ფასები ჩვეულებრივია, გარდა ბენუარის ლოჟებისა, გვერდის პირველი იარუსისა და პარტერის პირველ სამი რიგისა. 835.

ქართული **ავლაბრის სახალხო თეატრი** წარმოდგენა № 16.

კვირას, 2 ნოემბერს 1912 წ. ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ მსახიობ **ქ. ჩიქოვანისა** და **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

თამარ-ცბიერი

ისტორიული პოემა 4 მოქ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობენ: ქ. ჩიქოვანი, მარგველაშვილი; ბ.ბ. ივანიძე, სალაყაია, თავდგირიძე ჯიბლაძე, ნინოშვილი, ასნიშვილი, ულულაშვილი და სხ.

II ქართული კონცერტი

წრესთან არსებული მომღერალთა გუნდი ვ. მათურელის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება ქართული სიმღერები. ვ. ალთუნიშვილი იმღერებს ურმულს.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ამ ახლო ხანში ავლაბრის სახალხო თეატრის დაარსებიდ ნ 10 წლის შესრულებისა გამო გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა მზადდება „სამეგრელოს მთავარი ლევან", ,,კოჩრიანი ტოროლა'' და ,,რევიზორი''.

მორიგი გამგე ზ. ფორაქაშვილი. 1484. **რეჟისორი ი ივანიძე.**

ავლაბრის თეატრი მეზუროვისა სახალხო წარმოდგენა № 1.
(ყოფილი არაქსიანისა)

შაბათს, 1 დეკემბერს, 1912 წ. ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ავლაბრის სცენაზე

მსხვერპლი

დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს წრის მთელი დასი **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
მორიგი გამ. წევრი **გ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ნ. რაზმაძე.**
რეჟისორი **ს. პეპანოვი.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში საღამოს 5—7 საათამდე. ადგილ. ფასები 10—50 კ. ანტრაქტებში დაუკრავს წრის სიმებიანი ორკესტრი მანუკინის ხელმძღვანელობით. 832.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი

სამშაბათს, 4 დეკემბერს, 1912 წ. ქართ. სახ. წარმოდ. მმართ. წრის მიერ **თავის თანხის გასაძლიერებლად** წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე დრამა მუშების ცხოვრებიდან:

უმუშევარნი

4 მოქ. ბელოისა, თარგ. ლ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ს. ანკარა, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ბ-ნნი ნ გოცირიძე, თვალჭრელიშვილი, ს. რომანიშვილი, გ. ფრონისპირელი, ნ. ჰანკვეტაძე, და სხვა. ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ,,წრის'' ადმინისტრ.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა 8 დეკემბერს. 1499

სახ. წარმოდგენა № 5 ✦ მუსულმანთა აუდიტორია ✦ კვირას, 2 დეკემბერს, 1912 წ., ხარფუხის ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

მსხვერპლი

დრამა 3 მოქ, ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს წრის მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ანტრაქტებში დაუკრავს წრის სიმებიანი ორკესტრი მანუკინის ხელმძღვანელობით.
მორიგი გამგეობის წევრი **გ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ნ. რაზმაძე.**
832 რეჟისორი **ს. პეპანოვი.**

„ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა საყურადღებოდ, რომ

1913 წ. საწევრო ბილეთების განახლების ვადა

განისაზღვრება 20 ქრისტეშობისთვემდე 1912 წ.

ბილეთები მიეცემა „ახალი კლუბის" კანტორიდას ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღ. 2 ს.-დე და საღ. 9 ს.-დან შუაღამის 12 ს.-დე. 1661

---

16 დეკემბერს ამა მიმდინარე წლისა დანიშნულია

საგანგებო კრება
ხონის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებისა

ხონის სავაჭრო პროგიმნაზიაში 11 საათზე დილით, დამატებითი კრედიტის გადასადებად საკუთარი შენობის ასაშენებლად. 1616.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან
ანანიაშვილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 593.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მფოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ჟორდანია რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. ე. ა. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და საშობია სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაძკოვი ა ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ., ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტაციუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606 '' 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა (ჯრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. 1111

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები.

ი. გოგებაშვილისა ბუღჯი ეროვნებისა . . . . 20 კ.
„ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები 1 მ.
„ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა . 10 კ.
„ ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად . . 5 კ.
„ Методическое руководство для учителей и учительниц 40 კ.
გაბაშვილი ეკ. თხზულებანი 1 მ. 20 კ.
გულივერის მოგზაურობა . 30 „
ერისთავი რ. თხზულებანი წ. II 40 „
თხზ. ვაჟა-ფშაველასი. . . 1 მ. —
ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 „
კრილოვის არაკები . . . 50 „
კლდიაშვილის მოთხრობანი 30 „
ნაწყვეტები პოლ. ეკონომიიდან 50 „
რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. 2 მ. 40 „
რობინზონ კრუზო . . . 30 „

ახლად მიღებული წიგნები:

Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и рос. Джанашв. —25
Крестьянск вопросъ въ Закавказьѣ Аваліани . . 2—50
О древне-грузинскихъ лѣтописцахъ XI стол. Какабадзе. 35 „
Кавказскіе депутаты въ 3-еіи Гос. Думѣ . . . . . . 50 „
შავი ქვა. წუწუნავასი. . . 10 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

წელიწადი მეთხუთმეტე.

დამყნილ ამერიკულ ვაზის და ხეხილის სანერგე
სანდრო,
გიორგი მ. ჩივაძისა

ამით აცხადებს, რომ კვალინდებურად **დამზადებულია** მიმდინარე 1912 და მომავალ 1913 წ. **დიდძალი სარგავი მასალა.** 1586

ადრესი — ქუთაისი
მამია გურიელის ჩასახვევი, ფხაკაძის სახლი.

ხარფუხის ქართულ—სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ კვირას, 2 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ხარფუხის სამკურნალოში, ვარანცოვის ქ. სახ. ედიგაროვისა, დანიშნულია საგანგებო

საზოგადო კრება

შემდეგი საგნების განსახილველად

1, გამგეობისა, სარევიზიო კომისსის და მათი კანდიდატების არჩევა.
2, გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა შემოწირულების მოგროვების ნების დასართავად.
3, სათეატრო შენობის დაქირავება წარმოდგენების სამართავად ხარფუხში საამხანაგოდ „კულტურულ საზოგადოების" ერთად და სხვა მიმდინარე საგნების განსახილველად. 836.

გაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(იგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დასაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გ დაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას.

გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

რადგანაც ამ წლის 1 დეკემბრიდან ძალაში შედის სავალდებულო დადგენილებანი „ქ. ტფილისის სავაჭრო სახლებში, კანტორებში და საწყობებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენების უზრუნველყოფის თაობაზე", ქალაქის გამგეობა სთხოვს ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა პატრონებს წარმოადგინონ, § 17 თანახმად დადგ., გამგეობის მეოთხე განყოფილებაში დაწესებული პლაკატი გამგეობის წევრის ხელის მოსაწერად და დასამტკიცებლად.

პლაკატები ისყიდება მატინიანცის საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში, ნიკოლაევის ხიდზე, ისყიდება თითო ცალი 5 კაპ. 1617

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა,

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხე). ტელეფ. 7—92. 777

ოქროს მადანი

საგარეჯოში (ტფილისის მაზრა), დიდი სკოლის პირდაპირ ფარჩეულობისა და სხვა სავაჭროდ იძლევა ქირით იოსებ მეზვრიშვილის შენობა. საგარეჯოში თერთმეტი ათასი კომლია. გარშემო არტყია სოფლები ორიათას კომლამდის. რკინის გზის სადგური ორი ვერსის მანძილზე კეთდება. გამოცდილი ვაჭარი წელიწადში ორი ათას თუმანზე მეტს ივაჭრებს. მსურველთ დაწვრილებითი ცნობებისთვის შეუძლიანთ წერილით მომმართონ. 3084

ნატიც-ვექილ. თანაშ.

გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 47. 829

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიურიქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. 1018

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს' დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დ ი დ უ ბ ე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 3—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა. № 3. ს. გაბაშვილისა.

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ.** № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ქ ა ლ ი დ. გ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი ი. ე. ჯ ა შ ი განაგრძობს ავადმყოფმიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ჰლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11— 1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6 ტელეფონი 107. 791

ექიმი ზ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. ...ქუჩა № 6

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარეში) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11 12 ს. საღამ. 5—7. 1015.

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა** პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115. თი ეოზი 1040

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ გუშინ, ტფილისის სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით გაარჩია საქმე **„სახალხო გაზეთის" რედაქტორ-გამომცემელ ნ. ს. კურდღელაშვილისა,** რომელიც პასუხის-გებაში იყო მიცემული სისხ. სამართ. 129 მუხ. პირველ პუნქტის ძალით. პალატამ ნ. კურდღელაშვილი სრულიად გაამართლა. ბრალდებულს იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე შალვა მესხიშვილი.

✦ გუშინ 30 ნოემბერს გაირჩა ტფილ. სამოსამართლო პალატაში **ილარიონ ბადრიძის საქმე,** რომელიც მიცემული იყო სამართალში 102 მუხ. ძალით. პალატამ ი. ბადრიძეს სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

✦ **მიწის ყიდვა.** გუშინ, 30 ნოემბერს, ქალაქის თვითმმართველობამ სათავად-აზნაურო ბანკისაგან შეიძინა რეუტოვის ქუჩაზე მდებარე ადგილი, სადაც ლომბარდისა, სამშობიარო თავშესაფარისა და საქალაქო სკოლების შენობის აგებას აპირობს. თვითმმართველობამ ფული 50,000 მან.-ბანკში უკვე შეიტანა.

✦ **რევიზია.** კავკასიის ნამესტნიკმა სამხედრო მიმოსვლათა უფროსს გენერალს კარპოვს დაავალა, ვაჟთა მეორე გიმნაზიაში რევიზია მოახდინოს. რევიზიას კავშირი აქვს ამ გიმნაზიის მოსწავლის გენიკის თავის მოკვლასთან.

✦ **სახალხო კითხვა.** ხვალ, 2. დეკემბერს, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების სადგომში ქ-ნი ს. გასათიანი მოზრდილთათვის წაიკითხავს შემდეგს თემაზე. „ცივი ქვეყნები" დასაწყისი დილის 11 საათზე.

✦ **პოლიტეხნიკუმი** შადინოვის მიერ ნაანდერძევი 50,000 მან. ტფ. პოლიტეხნიკუმს მოხმარდება.

✦ **სამეურნეო კრებები.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს, ტფ. საზაფხულო? სასწავლებელთან სოფლის მასწავლებელთათვის საზაფხულო სასოფლო სამეურნეო კურსები დაარსოს.

✦ დეპეშათა სააგენტო იუწყება, მოწონებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტში შესატანად გზათა და ფინანსთა მინისტრების წინადადება., **ნება მიეცეს კახეთის რკინის გზის საზოგადოებას გაიყვანოს ბაქო-შემახა-ნუხის რკინის გზა** წნორის-წყალის სადგურამდე, სიგძით 415 ვერსი, ღირებულებით 34 მილიონი მანეთი.

✦ იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად პოეტის **ლადო ახობაძის ლექსთა კრებული** „ცხოვრების ტალღები".

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 29 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე თავის დედმამის სახლში (კირპიჩნი მისახვევი, 10) საწამლავი დალია 18 წლის ქალმა ანნა ალექსანდრეს ასულმა მელიქაშვილმა, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს,

✦ **საბოტანიკო ბაღში** შენობების ასაგებად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა 7,586 მან. გ დასდო. მუშტაიდში ასეთ შენობებისავე ასაგებად ფულის გადადებაზე დეპარტამენტმა უარი სთქვა.

✦ **გარდაიცვალა** სომხეთა ნერსესიან სემინარიის უხუცესი მასწავლებელი ლეონ ტუსინიანი, რომლის გვამიც 29 ნოემბერს ხოჯივანქის სასაფლაოზე დაკრძალეს.

✦ **ფრენა.** კვირას, 2 დეკემბერს, ავიატორი ქებურია, რომელმაც წარსულ კვირას თავი ისახელა, დიდუბის საჯირითო მოედნის მახლობლად მინდორზე გაფრინდება. გაფრინდება ნაშუადღევის 1 საათზე. როგორც ვწერდით, საჯირითო მოედანზე გაფრენის ნება ბ-ნს ქებუროვს რაღაც მოსაზრებით არ დართეს.

✦ **ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის მთავარი კანტროლიორი ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობს, რათა ტრამვაის დირექცია კიდევ 2,240 მან. დააჯარიმოს, რადგანაც ტრამვაის ვაგონები 10-დან 20 ნოემბრამდე წესიერად არ მუშაობდა.

✦ **თავის მოკვლა.** 28 ნოემბერს, ღამით, ტფ. სამიწისმზომელო სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლემ ევგენი ალექსანდრეს ძე ბრაამმა, რომელიც საპიორნი ქუჩაზე სახლში № 2 სცხოვრობდა, ციანისტი კალით თავი მოიკლა. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ 29 ნოემბერს კუკიის სასაფლაოსთან მამრობითი სქესის ბავშვის (2 დღისა) გვამი იპოვეს. ამავ დღეს კავკასიის მსროლელთა 1 პოლკის კაზარმის მახლობლად, მტკვრის პირად მამრობითი სქესის ბავშვის (1 დღისა) გვამი იპოვეს, გვამები მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ახალი საზოგადოება.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, გამგეობის წევრებმა თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა და მ. ნათაბეგოვმა, სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელის თანაშემწემ ვ. თ. ხახანაშვილმა და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა გუბერნატორსა სთხოვეს, ნება დართოს, დააარსონ ქალაქის თვით მმართველობის მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოება.

✦ **საბიუჯეტო კომიტეტის** კრება, რომელიც 29 ნოემბრისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა და 4 დეკემბრისთვის გადაიდო.

✦ **„კაპეიკის კავშირი"**ს საზოგადოების წევრთა საერთო კრება 2 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოხდება მისტროვის სასადილოში. განსახილველია საკითხი საზოგადოების სასარგებლოდ შემოწირულ მამულის (ზემო-ავჭალაში) დამტკიცების შესახებ.

გორი.

✦ კვირას, 25 გიორგობისთვეს, მრავალ ხალხის თანადასწრებით მიწას მიაბარეს უდროოდ გარდაცვლილ, ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის ვასილ სვ. ლაბაძის გვამი.

✦ კვირას, 2 დეკემბერს, სარევიზიო კომისიის დაავალებით სახ. უნივერსიტეტის გამგეობა მოიწვევს წევრთა წლიურ საზოგადო კრებას ზოგიერთ საკითხთა განსახილველად. კრება მოხდება ქალაქის სამმართველოს დარბაზში დილის 11 საათზე.

ჟურნალისტის დღიური

101.

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტზე.

მე სპეციალისტი მუსიკოსი არ გახლავართ. თუ გნებავთ, იქნება კარგი დილეტანტიც არ ვიყო. თუ, მიუხედავად ამისა, მაინც კალამს ვიღებ ხელში და კონცერტზე ვსწერ, ეს მხოლოდ იმიტომა ჰხდება, რომ ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის კონცერტმა ჩემზე, როგორც მუსიკის მოყვარეზე, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დღემდის ჩვენ არ მოგვისმენია ცოტად თუ ბევრად მთლიანი, ევროპიულად დამუშავებული ქართული მუსიკა. არის რომანები, არის სხვა-გვარი პატარ-პატარა ნაწარმოებები, მაგრამ მთლიანი შემოქმედებით გაშუქებული ქართული მუსიკა ჯერ არ მოგვისმენია საჯაროდ. ქართველი კომპოზიტორის წინაშე შემდეგი მიზანი იქნება აღმართული ყოველთვის: დაცვა ეროვნულ მუსიკის ინდივიდუალურ ხასიათისა ევროპიულ ტეხნიკის ჩარჩოებში. რაიცა შეეხება პირადს შემოქმედებასა, ეს კიდევ სხვა არის. ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილის კონცერტმა ჩემზე სწორედ იმ მხრით მოახდინა შთაბეჭდილება, რომ თავის ნაწარმოებებით ეს შეერთება გვაჩვენა. მას მიზნად დაუსახავს (ნომრები ოპერიდან „კერპთა დამხობა") მუსიკალური გადმოცემა ქართველთა იმ დროინდელ ცხოვრებისა, რომელსაც, მართლაც, შეუძლიანთ მუსიკალურ შემოქმედებისთვის გამოიწვიოს ნიჭიერი კომპოზიტორი. ეს არის ეპოხა კერპთა დამხობისა, ეპოხა, როდესაც საქართველოში კერპები ემხობოდნენ არა მარტო ფიზიკურად, არამედ ზნეობრივადაც, როდესაც ფეხს იკიდებდა ქრისტიანული მსოფლ-მხედველობა და სარწმუნოება. თვით სიუჟეტის არჩევაც კი ჰმოწმობს, რომ ბ-ნ კ. ფოცხვერაშვილს ფანტაზია აქვს სიუჟეტის არჩევისთანავე, ახალგაზდა კომპოზიტორის წინაშე აღიმართება ამოცანა: საჭიროა იმ დროის ფსიხოლოგიური განწყობილების გადმოცემა მუსიკალურს ფორმებში, მაგრამ ამასთანავე ერთად საჭიროა ამის გადმოცემა ქართულის მელოდიათ. და აი, ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილიც სცდილობს ქართული ხმები და მელოდიები ისე დაამუშავოს, რომ არც ინდივიდუალური ხასიათი დაეკარგოს და მაშინდელ სულიერ განწყობილების გადმოცემასაც ხელი შეუწყოს. აქ არ შეიძლება ქართული ხმების გადმოცემა ნატურალურის სახით, ისე, როგორც ცხოვრებაში გვესმის ეს ხმები. აქ საჭიროა მხოლოდ სიმღერის ხასიათის დაცვა და, მართლაც, თქვენს თვალ-წინ იშლება მუსიკალურის ფორმებით გადმოცემული სურათი კერპთა დამხობისა. თქვენ აქ ჰხედავთ ქურუმ-ქალთა საღვთო როკვას, გესმით მშვენიერი არია-ლოცვა ქურუმ-ქალისა, ხოროსი და ორკესტრის აკომპანიმენტით, დასასრულ, თქვენ გესმით ჰიმნი „დიდება არმაზს", რომელიც ჰპადებს თქვენში ჰიმნის შთაბეჭდილებას, თუმცა ადვილად იცნობთ ცნობილ ქართულ „ლილეო"-ს. ქართული სიმღერები და სიტყვები გაფანტული ამ ნაწარმოებში, მაგრამ ჰგრძნობთ, რომ ყველა ეს ნაცნობი მოტივები მექანიკურად კი არიან არ დაკავშირებულნი მთელ ნაწარმოებთან, არამედ ორგანიულად შესთვისებიან კომპოზიტორის შემოქმედებითი მუშაობას. ჰხედავთ, რომ ამ მოტივებისთვის კომპოზიტორს თავისი საკუთარი სული ჩაუბერავს.

აი, ეს იყო, ჩემის რწმენით, მსმენელზე რომ შთაბეჭდილებას ახდენდა. კონცერტზე თავის მომავალ ოპერიდან ბ-ნმა კ. ფოცხვერაშვილმა მოგვასმენინა უმთავრესად ხოროსა და ორკესტრის ნომრები, გარდა ქურუმ-ქალის არიისა—არ შეიძლება სხვა პარტიებიც არ იყოს, ან დუეტი, ტრიო და სხვა. უეჭველია ამნაირ ნომრებითაც შევსებული იქნება მომავალი ოპერა.

მაგრამ იმ სახითაც კი, რა სახითაც გვაჩვენა თავისი ნაწარმოები ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა, იგი დიდს შთაბეჭდილებას აჰხდენდა. ყველა ჰგრძნობდა, რომ მოწმე იყო ახალისა და სასიხარულო მოვლენისა, რომელსაც ქართული მუსიკის აღორძინება [illegible] ვუწოდოთ. ამიტომაც იყო, რომ დამსწრე დიდ-ძალი საზოგადოება მხურვალე ტაშის ცემით მიეგება ახალგაზდა ნიჭიერ კომპოზიტორს...

შინაური.

გორის ჭირ-ვარამი

აგერ ერთი თვეც იქნება ქალაქის თავი უნდა ამოერჩიათ, მაგრამ გუბერნატორმა არჩევნები გადასდო და ამჟამად ქალაქს კვლავ ძველი თავი განაგებს—პაპალექსი. რანაირი იყო მოღვაწეობა ამ პირისა, ამით თავს არ შეგაწყენთ. მსურს მხოლოდ მომავალ თავს მივუთითო იმ რთულ საქმიანობაზე, რომელიც ახალს მოურავს დააწვება კისერზე. ქალაქს ბევრი რამე სჭირია, მოავალი წყლულითაა დაფარული მოქალაქეთა ცხოვრება. საჭიროა მარჯვე დოსტაქარი, რომ ამ წყლულებიდან გამოუშვას დიდიხნობით დაგუბებული იარა, საჭიროა ფხიზელი დარაჯი, რომ დაცემული მოქალაქე ფეხზე წამოაყენოს და საუკეთესო მომავლის იმედი შთაუნერგოს გულში. საჭიროა ყურადღება მიექცეს ქალაქის რიგიან განათებას, ქუჩების მოკირწყვლას, გარეშე უბნების შემოერთებას და მათ კულტურულად დაწინაურებას. უპირველესად კი ყურადღება ცეცხლის მქრობელ რაზმის შედგენას უნდა მიექცეს. საჭიროა ჯერ ქალაქის და მოქალაქეთა ქონება უზრუნველვჰყოთ ულმობელ სტიქიონისაგან და მერე ისე იზრუნოთ მაი კეთილდღეობაზე. ამ მხრით კი ქალაქი ფრიად უნუგეშო მდგომარეობაშია. საკმარისია პატარა ცეცხლი აპრიალდეს სადმე, რომ უმალ შთანთქას ასი და ათასი თუმნის ქონება. გაიხსენეთ თუნდა ქალაქის გამგეობის გადაბუგვა წარსულ ენკენისთვეში. იმოდენა შენობიდან რამდენიმე საათში შერუჯული კედლები ღა გამოიყურებოდნენ. ჯამებითა და კოკებით შეუძლებელია მძლევარე სტიქიონის შეკავება. საჭიროა კარგად გაწვრთნილი, საჭირო მანქანებით შეჭურვილი ცეცხლის მქრობელთა რაზმი. თუ ცეცხლის საქრობ მანქანებზე გაწეულ ხარჯს არ მივიღებთ მხედველობაში, ქალაქს რაზმის შენახვა ძვირად არ დაუჯდება. რაზმში იქნებიან ვოლონტიორები. მათ განსაზღვრული ჯამაგირი არ ექმნებათ. თავიანთ საქმეზე იქმნებიან და მხოლოდ ცეცხლის გაჩენის დროს შეასრულებენ ცეცხლის მქრობელ რაზმის მოვალეობას და გაწეულ შრომის მიხედვით ქალაქისაგან შესაფერ ჯილდოს მიიღებენ. ამ ექვსიოდე თვის წინად დაიწყეს ამაზე ზრუნვა, ქალაქის გამგეობის გადაბუგვის შემდეგ ამაზე მოქალაქენიც ალაპარაკდნენ მაგრამ დღემდე აღარა ისმის რა. ალბად ჩვეუ-

წვრილი კრედიტი ქუთაისის გუბერნიასა და ბათომის ოლქში

შორაპნის მაზრა.

(საკრედიტო ამხანაგობანი).

	როდის გახსნილა.	ძირითადი თანხა.	მოკლე ვადიანი სესხი.	მიბარებული ფულების ანგარიში.	წევრთა რიცხვი.	მათი კრედიტი.	ბალანსი:
1. შორაპანის . .	1908 წ.	2000 მ.	10.000 მ.	2942 მ 68 კ.	532	130625 მ.	30.593 მ. 38 კ.
2. ბელოგორის . .	1911 „	2000 „	3000 „	— —	214	46700 „	5.394 „ 25 „
3. თერჯოლის . .	„	3000 „	4000 „	— —	337	53559 „	
4. კორბოულის . .	„	2500 „	4000 „	— —	?	?	
5. ჩხარის . . .	1912 „	3000 „	4000 „	— —	?	?	
6. საქარის . . .	„	3000 „	5000 „	169 „ 16 „	257	33507 „	
ჯ ა მ ი . .		15500 „	30.000 „	3111 „ 46 „	1340	264382 „	

ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან მკითხველი ჰხედავს, რომ შორაპნის მაზრაში ყოფილა 6 საკრედიტო ამხანაგობა; მათი ძირითადი თანხა შეადგენდა 15.500 მ. მოკლე ვადიანი 30.000 მ. მიბარებულ ფულების ანგარიშზე ყველას ჰქონდა 3111 მ. 46 კ., წევრად ჩაწერილა 1340 კაცი და მათი კრედიტი უდრიდა 264382 მან. ხსენებულ ამხანაგობებში პირველი ადგილი უჭირავს შორაპნის ამხანაგობას, რომელიც გახსნილია 1908 წ. და რომლის შემოსავალ-გასავალი დღეს 30.000 მან. უახლოვდება. შორაპნის ამხანაგობა ამ ბოლოს დროს საშუამავლო ოპერაციასაც აწარმოებს ღვინოზე სესხის გაცემით, რისთვისაც მას სახელმწიფო ბანკიდან განსაკუთრებული კრედიტი აქვს გახსნილი 10.000 მანეთამდის. ამ ამხანაგობას პირველი ადგილი უჭირავს არა მარტო შორაპნის მაზრაში, არამედ შეიძლება ითქვას მთელი ქუთაისის გუბერნიაშიც.

რაჭის მაზრა

(საკრედიტო ამხანაგობანი).

	როდის გახსნილა.	ძირითადი თანხა.	მოკლე ვადიან. სესხი.	მიბარებული ფულ. ანგარიშში.		წევრთა რიცხვი.	მათი კრედიტი.	ბალანსი.	
	წ.	მ.	მ.	მ.	კ.		მ.	მ.	კ.
1. ონის	1911	3000	4000	1559	50	260	26670	9190	19
2. სადმელის . .	„	2500	3000	—		117	14025	3787	15
ჯამი . .		5500	7000	1559	50	377	40695		

ლეჩხუმის მაზრა

(საკრედიტო ამხანაგობანი).

	წ.						
1. ჭრებალოს	1911	2000	3000	200	315	46060	2541 14
2. ცაგერის	)	ახალი გახსნილია					
3. ლაილაშის	)						

ოზურგეთის მაზრა

(საკრედიტო ამხანაგობანი).

1. ჯურუყვეთის . .	1911	2500	4000	—	223	15645	6392	59
2. გურიის მებაღეთა	„	3000	10000	70	341	28000	13942	69
3. მიქელ-გაბრიელის	1912	2000	2000	—	125	30460	4366	65
4. ნიგოითის	„	2000	4000	—	138	40000	5384	90
5. ოზურგეთის ხელოსანთა	1911	3000	10000	110	296	24300	8921	47
6. სუფსის	„	3000	5000	—	269	17570	7508	42
7. ჩიბათის	1910	1000	2000	—	199	7730	3424	20
8. შუხუთის	1911	2000	10000	160	154	11550	10228	86
ჯამი . .		18500	47000	340	1745	175255		

რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში წვრილი კრედიტის დაწესებულებათა გახსნა ახალი საქმეა და დღემდის იქ სულ ოთხი თუ ხუთი საკრედიტო ამხანაგობა დაარსებულა. ამ მხრით ბევრად კარგს მდგომარეობაშია ოზურგეთის მაზრა, სადაც რვა საკრედიტო ამხანაგობა გაუხსნიათ-მათი ძირითადი თანხა შეადგენდა 18500 მ., მოკლე ვადიანი სესხი 47000 მ., მიბარებული ფულების ანგარიშზე ყველას საერთოდ მიუზიდავს მხოლოდ 340 მ., წევრთა რიცხვი იყო 1775 და მათი კრედიტი 175255 მან. ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს მიბარებული ფულების გასაოცარი სიმცირე, რის საერთო ჯამი რვა საკრედიტო ამხანაგობაში მხოლოთ 340 მან. შეადგენდა, რომლიდანაც 70 მან. ინახებოდა გურიის მებაღეთა ამხანაგობაში, 110 მან. ოზურგეთის და 160 მან. შუხუთის ამხანაგობაში. დანარჩენს ხუთს საკრედიტო დაწესებულებას თავის სამოქმედო რაიონებში ერთი კაპეიკიც ვერ მიუზიდავს. ეს ამხანაგობებია ჯურუყვეთის, მიქელ-გაბრიელის, ნიგოითის, სუფსის, ჩიბათის, რომელთაგან ზოგი ორი-სამი წლისწადია რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მათ გამგეობას ამ მხრით სრული უმოქმედობა და ინდიფერენტიზმი გამოუჩენია ან და საზოგადოების თვალში მათ არ ჰქონია არავითარი ნდობა, რაც კიდევ უფრო არა-სასიამოვნოა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოვლად წარმოუდგენელია, რომ ამხანაგობებმა დაარიგონ საზოგადოებაში 65.000 მ. სახელმწიფო ბანკიდან გამოტანილი ფულები ვერ მიიზიდონ 340 მან. მეტი მიბარებული ფულების ანგარიშით, თუ კი ცოტაოდენი ყურადღება ექნებოდა გამგეობას ამ საქმისკენ მიქცეული.

გარდა დასახელებული ამხანაგობათა ოზურგეთის მაზრაში ამ ბოლო დროს კიდევ აღიძრა რამდენიმე შუამდგომლობა წვრილი კრედიტის დაწესებულებათა გახსნის შესახებ. ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ მაზრაში ოდესღაც გახსნილა რვა ძველი ტიპის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, მაგრამ ისინი ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, დღეს არც კი არსებობენ და არავითარ ანგარიშებს არ აქვეყნებენ საზოგადოების საყურადღებოდ.

სენაკის მაზრა.

(შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი.)

	როდის გახსნილა.	ძირითადი თანხა.	მოკლე ვადიანი სესხი.	მიბარებული ფულის ანგარიში.	წევრთა რიცხვი.	მათი კრედიტი.	ბალანსი.
1. ნოქალაქევის . . .	1911 წ.	3000	4000	200 —	279	13965	77441—47
2. აბაშის მეორე . .	1912	2000	3000	— —	90	3770	3223—50
3. ნოსირის	—	2000	4000	— —	255	13980	5559—35
4. ნათოჩავის	1910	1500	5000	166 —	367	33980	8675—22
5. უშაფათის	—	1500	2000	— —	156	7270	3344—51
6. ნაესაკოვო-კოდორის	1907	1000	2000	22 —	155	13181	3460—36
7. ფოთის	1908	4000	10000	4259—91	301	31490	2805—35
8. სუჯუნის	1910	1000	2000	1350 —	310	43200	3598—21
9. აბაშის	1908	1200	8000	952 —	365	15480	9621—30
ჯ ა მ ი	—	**17200**	**40000**	**6949—91**	**2278**	**176316**	—

როგორც მკითხველი ჰხედავს, სენაკის მაზრაში ყოფილა 9 საკრედიტო ამხანაგობა, მათი ძირითადი თანხა შეადგენდა 17200 მან., მოკლე ვადიანი სესხი 40.000 მ., მიბარებული ფულების ანგარიშზე ყველას ჰქონიათ 6949 მან. 91 კ. წევრი მიუღიათ 2279 და მათთვის კრედიტი გაუხსნიათ 176,316 მ. ხსენებულ ამხანაგობათა შორის პირველი ადგილი უჭირავს ფოთის საკრედიტო ამხანაგობას, რომლის საერთო ბალანსი ოცი ათასს მან. გადააჭარბებს და მიბარებული ფულების ჯამი შეადგენდა 4259 მ. 91 კ. ამ ამხანაგობის მოქმედება ისეთ

ლებრივ „უსახსრობისა“ გამო ამ საქმემაც ჩაილულის წყალი დალია, საჭიროა ამაზე იზრუნოს ქალაქის მომავალმა თავმა, საჭიროა ამაზე იფიქრონ ქალაქის მამებმაც...

* * *

ბევრი რამ, რაც აქნობამდე არა გვქონდა, შევიძინეთ გორელებმა, მაგრამ ბევრი რამის შეძენა გვჭირია კიდევ: მაგალითად არა გვყავს მგალობელთა მუდმივი გუნდი. ეს კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის. ძალების არყოლას ვერ დავემდურებით, ძალები მოგვეპოვება, გვყავს კარგი ლოტბარნიც—ფ. კარბელაშვილი და გ. ონიაშვილი.

ცოტაოდენი თანხა რომ ჩვენმა ეკლესიებმა გამოიღონ, ხომ უფრო კარგად წავა საქმე.

* * *

არა ნაკლებ საჭიროა სცენის მოყვარეთა მუდმივი დასი. ამაშიაც უბედონი ვართ. მახსოვს, 1910 წელს შესდგა მუდმივი დასი, რკინის გზის სადგურის ახლოს დაიქირავა შენობა, ყოველ კვირა ჰმართავდა წარმოდგენას, ფასები სახალხო იყო და ხალხიც თეატრს გულთბილად ეკიდებოდა, მაგრამ ქართველურმა სენმა—უთანხმოებამ—აქაც იჩინა თავი და ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიან არსებობის შემდეგ ჯგუფი ორად გაიყო, ძალები დაიქსაქსა და საქმეც ჩაიშალა. წარსულ ზაფხულსაც შესდგა ქართულ სცენის მოყვარეთა ჯგუფი, ტფ. ქართულ თეატრის მსახიობის ბ. გ. არადელი-იშხნელის მეთაურობით, მაგრამ მალე ეს დასიც დაიშალა, გორის საზოგადოებამ მხარი ვერ დაუჭირა. გული გაუტყდათ სცენის მოყვარეთაც, მაგრამ მაინც კიდევ არა სტოვებენ თავიანთ საყვარელ საქმეს — იქნება საზოგადოების გულგრილობას ერთხელაც მაინც არის ბოლო მოეღოს. ქართველ საზოგადოების ზნეობრივი ვალია გაუწიოს ამ ჯგუფს ხელი წარმოდგენებზე მისვლით, მისცეს საჭირო ძალები... თუ ეხლა სისტემატიურად არ იმართება წარმოდგენები, სახალხო სახლი რომ გვექნება, მაშინ ხომ აუცილებლად საჭირო იქნება ეს ჯგუფი!..

სანგანიძე.

შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი და სენატი

სენატსა და მაკაროვის შორის ასტყდა კამათი იმის თაობაზე: შედის თუ არა სენატის კომპეტენციაში სავალდებულო დადგენილებათა საჩივრის განხილვა.

მაკაროვის აზრით სავალდებულო დადგენილებათა საჩივარი არ უნდა განიხილოს სენატმაო. ამ აზრისა იყო სტოლიპინიც.

ლიუბლინის გუბერნატორმა 1909 წელს გამოსცა სავალდებულო დადგენილება, -რის ძალითაც სახლის პატრონებს ევალებოდათ მეეზოვეთა გაძლიერებულ შტატის შენახვა. სახლის პატრონებმა სენატს მიმართეს საჩივრით: სენატმა განიხილა საჩივარი და დაადგინა: მოისპოს ეს სავალდებულო დადგენილება. ხელის მოსაწერად წარუდგინა თავისი გადაწყვეტილება შინაურ საქმეთა მინისტრს მაკაროვს. მაკაროვმა ხელი არ მოაწერა.

მაკაროვის აზრით, საჩივარი სავალდებულო დადგენილებათა გამო სენატს კი არა შინაურ საქმეთა სამინისტროს უნდა მიერთვასო. სტოლიპინი გადაჭრით ამბობდა: სავალდებულო დადგენილებათა საჩივრების განხილვა სენატის ფუნქციას არ შეადგენსო. მაკაროვი ამას არ ამბობს, იგი იმ აზრისაა: ჯერ შინაურ საქმეთა მინისტრმა უნდა განიხილოსო და თუ საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა და შემდეგი მსვლელობა არ მისცა, მაშინ ამა თუ იმ დადგენილების კანონიერების განხილვა სენატის საქმეაო; გარნა სენატმა უნდა განიხილოს არა საჩივარი სავალდებულო დადგენილების გამო, არამედ საჩივარი სამინისტროს დადგენილებისაო. ამის გამო მაკაროვი მოითხოვს საჩივარი უყურადღებოდ დასტოვოს სენატმა, მით უმეტეს რომ თვით გუბერნატორმა გააუქმა ეს დადგენილებაო.

სათათბიროს გარშემო

სინოდი და სათათბირო.

სათათბიროს სამღვდელოებამ ბოლო სხდომაზე გადასწყვიტეს—არ დაარსონ სათათბიროში საკუთარი ფრაქცია. სინოდში ამ გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირა და შეაწუხა. სინოდს იმედი ჰქონდა რაიმე გავლენა სათათბიროს მუშაობაზე და ეხლა სამღვდელოება უარს ამბობს დამოუკიდებელ მოქმედებაზე. სამღვდელოება უნდა დაემორჩილოს ხვოსტოვის და პურიშკევიჩის დირექტივებს. ეს ხომ სამწუხაროა, მაგრამ ობერპროკურორის სულის სიმშვიდეს არღვევს უფრო ხმები, ვითომ დეპუტატები სათათბიროში აპირებენ შეკითხვის შეტანას სინოდის არჩევნებში მოქმედების თაობაზეო.

შეკითხვა არჩევნების გამო.

ოპოზიციაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაკლაკოვის წინადადებამ არჩევნების შეკითხვის გამო. მაკლაკოვის აზრით საჩქარო შეკითხვის მაგივრად უნდა აირჩიოს ცალკე კომისია, რომელსაც მიენდობა არჩევნების წარმოების მასალის შეგროვება. შემდეგ ამ მასალის მიხედვით ჩვეულებრივი შეკითხვა უნდა შეიტანოს. ეს საკითხი ისეთი რთულია და მასთან ერთად მასალა იმდენად აურეველი, რომ საჩქარო შეკითხვით ძნელად თუ არჩევნების ნამდვილი სურათი გამოირკვესო. გარდა ამისა საჩქარო შეკითხვის დროს ნება აქვს ილაპარაკოს მხოლოდ ოთხ ორატორს, ჩვეულებრივ შეკითხვის დროს კი ორატორების რიცხვი არ განისაზღვრება.

ამ საკითხის გამო ბევრ დეპუტატს ჰსურს ილაპარაკოს, რაც საჩქარო შეკითხვა ამის საშუალებას მოუსპობს.

მაკაროვი და არჩევნების შეკითხვა.

მაკაროვის გადადგომა თანამდებობიდან გადაწყვეტილ საქმედ იყო ცნობილი. ეხლა კი გამოირკვა, მაკაროვი თავის თანამდებობაზე რჩება. ამის მიზეზი. ის არის, რომ მთელი მასალა, რომ მთელი მასალა, რასაც კი შეუძლია არჩევნების წარმოება გააშუქოს მაკაროვის ხელშია, და მისი წასვლა მთავრობას უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდება. სამაგიეროდ კოკოვცევის გარემოება ცოტა არ იყოს შეირყა. მაკაროვის დარჩენით.

სოც.-დემ. ფრაქციაში.

სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ განიხილა საკითხი: მიიღონ ფრაქციაში პოლონელი დეპუტატი იაგელლო, თუ არაო. იაგელლომ წაიკითხა მოხსენება თუ როგორ მოხდა არჩევნები ვარშავაში. იაგელლომ აღუთქვა ყველაფერში ფრაქციის გარდაწყვეტილებას დავემორჩილებიო. „ბოლშევიკები“ წინააღმდეგნი არიან იაგელლოს ფრაქციაში მიღებისა, მენშევიკები კი ამის სურვილს გამოსთქვამენ. სხდომამ არავითარი შედეგი იქონია. ელიან ციმბირელ ამხანაგის მოსვლას, რის შემდეგაც კვლავ დააყენებენ იაგელლოს მიღების საკითხი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები

29 ნოემბერი

პატარა შეტაკება

ცეტინიე. ოსმალებმა ზარბაზნები დაუშინეს ტარაბოშიდან ჩერნოგორების პოზიციებს. ამ ამბავმა ძლიერ ააშფოთა ჯარის-კაცები. ოფიცრებმა ძლივ შეაკავეს იერიშის მიტანისგან.

ბერძნების დახოცვა.

ათინა. კესანის ოლქში ოსმალებმა 300 ბერძენი ამოხოცეს. მათ რიცხვში მოჰკლეს ექიმი მალაფესტა.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

რუმინიის მეფის ფელდმარშლობა.

ბუხარესტი დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ მიხეილის ძემ გადასცა რუსეთის ხელმწიფე იმპერატორისაგან, რუმინიის მეფეს ფელდმარშლობის კვერთხი და საკუთარ ხელით დაწერილი წერილი, რუმინიის მეფემ მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და პატივისცემისთვის.

ოსმალეთის წარმომადგენელნი.

ბუხარესტი. ოსმალეთის ელჩი საელჩოს წევრებით, დაუხვდა სადგურზე ოსმალეთის რწმუნებულებს, რომელნიც ლონდონში მიემგზავრებიან.

ბულგარეთი და რუმინია.

სოფია. გაზეთი „ბოლგარია“ სწერს: პლევნისა და გრივიცის მოგონება, საცა ჩვენი სისხლი რუმინელების სისხლთან ერთად ინთხეოდა, მიუხედავად ზოგიერთთა ცდისა, უთანხმოება დაბადონ ჩვენში, მაინც შეგვაკავშირებს ჩვენ დ რუმინელებსო.

ალბანეთი და იტალია.

რომი. „ტრიბუნა“ სწერს: ალბანეთის დამოუკიდებლობას მთელი ევროპა უზრუნველჰყოფსო.

დანევი.

ვენა. დანევს და ბერტჰოლდს ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ. დანევი ბერლინში წავიდა.

ბერლინი. დანევი მოვიდა.

კანონ-პროექტის მიღება.

ვენა. დეპუტატთა პალატამ მიიღო მთავრობის კანონ-პროექტები 1913 წლის სამხედრო ბეგარის თაობაზე.

ბალკანეთის კავშირი.

პარიზი. ვენიზელოსი ელაპარაკა „ტანის“ კორესპოდენტს: ბალკანელების ბრწყინვალე გამარჯვება ერთსულოვნების შედეგიაო. ამისთვის მტკიცე კავშირი ბალკანეთის სახელმწიფოებისა ეხლა უფრო საჭიროაო. მოკავშირეთა შორის აღმოცენებულ უთანხმოებას, იმედია ამიშვენება მოსპობსო.

ოსმალეთის დელეგატები.

ოსტენდე. ოსმალეთის დელეგატები შეივლიან პარიზში რიფატ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად. ლონდონში 30 ნოემბერს იქნებიან.

პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი ეახლა რეშიდ-ფაშას. რეშიდ-ფაშამ სთქვა: ოსმალეთის დელეგატები მაშინ წარუდგენენ თავიანთ მოთხოვნილებებს, როცა ბალკანეთის მოთხოვნილებები განხილული იქნებაო.

რეშიდ-ფაშას უთქვამს, ოსმალები უარს განაცხადებენ საბერძნეთთან მოლაპარაკების გამართვაზე, სანამ ისინი დროებითი ზავის აქტს ხელს არ მოაწერენო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

30 ნოემბერი.

პრინც-რეგენტის გარდაცვალება.

მიუნხენი. გარდაიცვალა ბავარიის პრინც-რეგენტი ლუიტპოლდი, 91 წლისა.

ბერლინი. პრინც-რეგენტის გარდაცვალების გამო რეიხსტაგის სხდომები 26 დეკემბრამდის არის შეწყვეტილი.

ჩინეთის სამზადისი.

მუკდენი. შანხაიდან მოვიდნენ ნაციონალისტთა პარტიის წარმომადგენელნი რუსეთის წინააღმდეგ ბოიკოტის მოსაწყობად. რუსეთის წინააღმდეგ აღელვებამ მანჯურიაში ხელმეორედ იჩინა თავი. ომისთვის ფულს აგროვებენ, რაზმებს აწყობენ მონღოლიასთან საბრძოლველად.

რევოლიუცია სან-დომინგოში.

ნორფოლკი. სან-დომინგოში ხელმეორედ იფეთქა რევოლიუციამ. გაიგზავნა იქ გემი „ნიუ-გემპშირი“.

დათხოვნილი მუშები.

ნიუ-იორკი. გაფიცვის გამო დაითხოვეს რკინის გზის რამდენიმე მოსამსახურე. დათხოვნილი მუშები თავს დაეცნენ ამხანაგებს, რომელნიც მათ არ მიუდგნენ. უკანასკნელებს პოლიცია იცავდა. მოკლულია 2 პოლიციელი, 9 დაჭრილია.

რუსეთი

მადნის მრეწველთა კრება.

ხარკოვი. მადნის მრეწველთა კრება ვაჭრობის მინისტრის წინაშე შუამდგომლობს, რაც შეიძლება მალე მოიწვიოს კრება უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლების წარმომადგენლებისა, მადნის მრეწველთა თანადასწრებით სწავლების რეფორმის მოსახდენად.

გამოსაცდელი კომისიები.

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრმა დააწესა სამედიცინო გამოსაცდელი კომისიები მოსკოვის, ხარკოვის, კიევის და ოდესის უნივერსიტეტებში სახელმწიფო ეგზამენების მოსახდენად.

რედაქტორების გასამართლება.

ოდესა. საოლქო სასამართლომ ცილის წამების გულისთვის „დრუგის“ რედაქტორს ბალაშევს მიუსაჯა ექვსი თვის ციხე, „დრუჟკას“ რედაქტორს პანკოვს ოთხი თვის ციხე.

1913 წლის იუბილეს გამო.

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრმა ბრძანება გასცა 1913 წლის იუბილეს აღსანიშნავად 1913 წლის აბიტურიენტებს სიმწიფის ატესტატი მიეცეს საიუბილეო საგანგებო ბლანკზე.

„კრასნოიარსკის რესპუბლიკის პრეზიდენტის“ საქმე.

პეტერბურგი. მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა საოლქო-სასამართლოს დადგენილება კრასნოიარსკის რესპუბლიკის პრეზიდენტის“ საქმის გამო. კუზმინს ჰბრალდება 1905 წელს კრასნოიარსკში შეიარაღებულ ამხედრების მოხდენა: საოლქო სასამართლომ კუზმინს სამუდამო კატორღა გადაუწყვიტა. მთავარმა სამხედრო სასამართლომ საოლქოს დადგენილება დაარღვია და განსახილველად უკანვე დაუბრუნა.

ცეცხლი ქარხანაში.

ბელოსტოკი. შაპიროს ქარხნის სართავი და საფეიქრო განყოფილება დაიწვა. ზარალი 100.000 მანეთს უდრის.

სახელმწიფო ბანკი ფინლიანდიაში.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ 29 ნოემბერს განიხილა ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი სახელმწიფო ბანკის მოქმედების გაფართოვების თაობაზე ფინლიანდიაში. მინისტრთა საბჭომ კანონ-პროექტი მოიწონა.

უცხოეთი

იაპონიის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი.

მკითხველმა უკვე იცის, თუ რა კრიზისს განიცდის იაპონიის მინისტრთა კაბინეთი. სამხედრო მინისტრის კანონ პროექტმა განხეთქილება შეიტანა კაბინეთში. მთელი კაბინეტი იძულებული იყო თანამდებობიდან გადამდგარიყო. [illegible] ახალი კაბინეტის შედგენა [illegible] მინისტრ-პრეზიდენტს [illegible] სეიკ.

იაპონიის ახალი პრემიერი დაიბადა 1852 წელს. ოფიცრის პირველი ჩინი მიიღო 1871 წელს. 1878 წ. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში; ტერაუცი ამ ომში დაიჭრა. შემდეგ გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც უმაღლესი სწავლა მიიღო. სამშობლოში დაბრუნებისას ტერაუცი სამხედრო კორპუსში იყო მასწავლებლად და შემდეგ დირექტორად.

1894 წ. ტერაუცი პირველ ლაშქრის შტაბის ოფიცრად დანიშნეს. ჩინეთ-იაპონიის ომის დროს იგი გენერალ-მაიორის ჩინში ჯარს უფროსობდა.

1897 წ. ტერუცი სამხედრო სასწავლებლების გენერალ-ინსპექტორად იყო. შემდეგ მთავარ შტაბის უფროსის თანაშემწედ. 1902 წელს ტერაუცის კაცურას კაბინეთში სამხედრო მინისტრის პორტფელი ეჭირა კორეის ანექსიის შემდეგ ტერაუცი დანიშნეს კორეის მინისტრ-პრეზიდენტად. გრ. ტერაუცი მარშალია, მაგატას პარტიის თანამოაზრე. მის კანდიდატურას კონსერვატორები უჭერდნენ მხარს. ტერაუცის იაპონიის მინისტრ-პრეზიდენტად დანიშვნა კონსერვატორების პარტიის გამარჯვებას ჰნიშნავს. კონსერვატორთა კაბინეთის შედგენას, იაპონიის გაზეთების სიტყვით ქვემო პალატის დათხოვნა მოჰყვებაო.

თეატრი და ხელოვნება

„ბედოვლათი“ დრამა 4 მოქმედებად დ. ნახუცრიშვილისა.

არ ვიცით, რა მოსაზრებით აირჩია ქ-ძა ჩერქეზიშვილმა თავის საბენეფისოდ ისეთი პიესა, რომელშიაც ასე სუსტად უნდა გამოჩენილიყო პატივცემულ მსახიობ ქალის უტყუარი ნიჭი. მხოლოდ პიესის ორიგინალობა და „სიახლე“ საკმაო როდია ასეთი მიზნისათვის. ჩვენის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ მობენეფისეს ისევ რომელიმე ძველი პიესა აერჩია, სადაც იგი უფრო მეტს ეტყოდა მის პატივსაცემლად მოსულ მაყურებელთ, რომელთაც არა ერთხელ უგრძვნიათ სიტკბოება ქ-ნ ჩერქეზიშვილის თამაშისა.

„ცდა ბედის მონახევრეა“-ო, ქართული თქმულებაა. და ბ. ნახუცრიშვილსაც უცდია თვისი ძალა ისეთ ლიტერატურულ დარგში, რომელშიც ბევრი ნიჭიერი და გამოცდილი მწერალი გაცუდებულა. მართალია, ჩვენი დრამატიული ლიტერატურა ღარიბია, მაგრამ, არც იმდენად, რომ „ბედოვლათისთანა“ პიესებით მისი გამდიდრება სასურველ მოვლენად ჩაითვალოს. იგი დრამატიული ნაწარმოები კი არა, მოთხრობაა, და ისიც მეტად მკრთალი, იმ ბედოვლათობის შესახებ, რომლის წყალობითაც ბევრი ქართული ოჯახი დაქცეულა. არ ვიტყვი, რომ პიესის დედა-აზრი ახალია, როგორც სალიტერატურო თემა. ჩვენს ბედოვლათობაზე ძლიერ ბევრი რამ დაწერილა, დიდი ილიადან დაწყებული დ. კლდიაშვილის შესანიშნავ ნაწარმოებებამდე. იგი (ბედოვლათობა) ერთგვარი სინამდვილეა ჩვენი ცხოვრებისა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მხოლოდ და მხოლოდ მშრალი სინამდვილის აღნუსხვა და სურათებად შეწებება კიდევ ვერ შეჰქმნის ხელოვნურ ნაწარმოებს. დ. ნახუცრიშვილის პიესა კი სწორედ ასეთი უხეირო და მოსაწყენი ნაწარმოებია. თუმცა მთავარი როლების ამსრულებელნი ბევრს ცდილობდნენ სული ჩაედგათ უხორცო პიესისთვის და ავტორის მიერ უგულებელ ჰყოფილი, დრამატიული მომენტები ხელოვნურად მაინც შეექმნათ მაყურებელთა განსაცვიფრებლად, მაგრამ ყოველივე ამაოდ დაშთა—„ბედოვლათის“ „დრამობა“ მხოლოდ გულუბრყვილო ღიმილს იწვევდა მაყურებელთა სახეზე, მიუხედავად როლების უმადურობისა, დიდის დაკვირვებითა და გრძნობით მოქმედებდნენ: ბ. გუნია (შაქრო დევრიშვილი), გ. გედევანოვი (მახარე), ქ. მესხი (მელნა ნამგალაძე), დ. მგალობლიშვილი (საბა მშრალაძე) და ქ-ნნი: ნ. ჯავახიშვილი (თებრო), ა. შოთაძე (ფუფო) და ტ. აბაშიძე (ანო). მობენეფისეს პიესამ სრულიად მოუსპო საშუალე-

---

მკვიდრ ნიადაგზეა, რომ ამ ბოლოს დროს სახელმწიფო ბანკმა მას გაუხსნა 3.000 მ. მისაბარებელი ფულების უზრუნველსაყოფად, (ამხანაგობას საშუალება მიეცა პირველ მოთხოვნილებისამებრ დააკმაყოფილოს მიბარებული ფულების მომთხოვნელი) და სპეციალური კრედიტი 3.000 მ. საშუამავლო ოპერაციებისათვის. ფოთის ამხანაგობას სათავეში უდგია შესაფერი გამგეობა, რომლის თავმჯდომარე წვრილი კრედიტის საქმეში დიდად გამოცდილი და დახელოვნებული მოღვაწე ბ. მიხა ისაკიაა.

სენაკის მაზრაში სხვა ამხანაგობებთან შედარებით უფრო ჩამორჩენილა—აბაშის მეორე, ნოსირის და უშაფათის ამხანაგობა.

ზუგდიდის მაზრა

(საკრედიტო ამხანაგობანი)

	როდის გახსნილი	ძირითადი თანხა.	მოკლე ვადიანი სესხი.	მიბარებული ფულები.	წევრთა რიცხვი.	მათი კრედიტი.	ბალანსი.
1. ახუთის.		2000	2000	—	120	6590	4211—96
2. ხობუმის		3000	3000	—	182	16565	6370—82
3. ხორგინის		3000	3000	30	210	10485	6543—59
4. ჩხოროცხუმის		2000	—	—	77	4420	2158—85
ჯამი		10000	8000 მ.	30	589	38060	
ბათომის ოლქი (საკრედიტო ამხანაგობანი)							
1. არდანუჩის	1911 წ.	3000	4000	—	130	13655	5502—25
2. მურღულის	1912 „	1500	3000	—	92	5735	2608—69
3. ოკრობაკეთის	„	2000	2000	—	?	?	
4. რომანოვის	1910 „	500	3000	390	104	6465	4241—14
5. სათლელ-რაბათის	1912 „	2000	2000	—	?		
6. ცივი-სლაბოდის	„	2000	7000	153	152	16015	4477—90
შემნახველ-გამსესხებელი ამხ—ნი)							
1. ბათუმის	1908 წ.	6656 მ.	10.000 „	2728—45	140	23350 „	19140—51
2. ზედა-აჭარის.	1909 „	4350 „	10.000 „	150— „	145	2400 „	12840—27
3. ჭოროხის.	1912 „	2000 „	4.000 „	—		— „	—
4. ტანზათის.	„	2000 „	4.000 „	—		— „	2493—43
		25.006 „	49.000 „	3421—04 „	763	89280 „	
63 დაწესებულების საერთო ჯამი		223889—62 „	253.000	85699—05	11713	1331382 „	
46 საკრედიტო ამხ-ბა.		101.200 „	191.000	16781—52	8555	967588 „	
17 შემნახველ-გამსესხ.		122689—62 „	62.000	68917—53	3158	363794 „	

როგორც ზემოდ მოყვანილი ცნობები აღნიშნავენ, ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში სულ ყოფილა ამ წლის პირველ ივლისს 63 წვრილი საკრედიტო დაწესებულება სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების მხედველობის ქვეშ. მათი ძირითადი თანხა შეადგენდა 223,889 მან. 62 კ. მოკლე ვადიანი სესხი—253,000 მ., მიბარებული ფულები—85,699 მ. 5 კ., წევრთა რიცხვი—11,713 და მათი კრედიტი 1.331,382 მან.

აქედან საკრედიტო ამხანაგობა იყო 46, მათი ძირითადი თანხა 101,200 მ., მოკლე ვადიანი სესხი 191,000 მ., მიბარებული ფულების საერთო ჯამი 16,781 მ. 52 კ. წევრთა რიცხვი 8,555 და მათი კრედიტი 967,588 მ. დანარჩენი უწევდა 17 შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას. გამოდის, რომ ბათომის სახელმწიფო ბანკს გაუცია თავის სამოქმედო რაიონში წვრილი კრედიტის დაწესებულებებზე არა ნაკლები 350,000 მან. ძირითად თანხად და მოკლე ვადიანი სესხის სახით. აქ ჩვენ არ მიგვიღია მხედველობაში შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა ძირითადი თანხა 122,689 მ. 62 კ., რომელიც შესდგება საწევრო ფულებიდან (პაი) და მაშასადამე არ წარმოადგენს სახელმწიფო ბანკიდან მიღებულ სესხს. საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე:—ჩვენ სახეში გვაქვს მიბარებული ფულების გასაოცარი სიმცირე შედარებით იმ თანხასთან, რომელიც ამხანაგობებს სახელმწიფო ბანკიდან მიუღიათ. მაგალ. საკრედიტო ამხანაგობების მიერ მიმაბარებლით მიზიდული ფულები შეადგენდა 16,781 მ. 52 კ., როცა სახელმწიფო ბანკიდან გამოუტანიათ თითქმის 300,000 მან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ წვრილი კრედიტის დაწესებულებათა საქმეები და მოქმედება ჯერ არ არის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული; ისინი მოკლებულნი არიან გამოცდილ და ენერგიულ ხელმძღვანელებს, რომელთაც უნდა შესძლონ საზოგადოების ნდობის მოპოვება. წვრილი კრედიტის დაწესებულებებს კანონი ფართო უფლებებს ანიჭებს, მათ თვით სახელმწიფო მფარველობს და ამიტომ ხალხმა ამ საგანზე უნდა შეადგინოს სწორი შეხედულობა მოწინავე ელემენტების შემწეობით. აქ ჩვენს ინტელიგენციას ფართო ასპარეზი აქვს, სახალხო საქმეს სამსახური გაუწიოს და თან მისი შრომაც დაჯილდოვებული იქნება მატერიალურადაც, რადგან საკრედიტო დაწესებულებანი არავის ქველმოქმედებას არ საჭიროებენ. განსაკუთრებული ყურადღება ამ საქმეს სოფლის მასწავლებლებმა უნდა მიაქციონ, რადგან ჩვენ არ გვჯერა ქალაქში დაბანაკებულმა ინტელიგენცია ასე ადვილად დაიძრეს საკრედიტო ამხანაგობებში სამოქმედოდ. მისი ფსიხოლოგია ჩვენდა საუბედუროდ ნაკლებად ეგუება ისეთ მოქმედებას, სადაც თვითმოქმედების გამოჩენაა საჭირო. მომეტებული ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა თხოვნების წერაშია გართული და სხვა და სხვა დაწესებულებებში ადგილების მიღების მოლოდინშია. ჩვენი იმედები დამყარებული უნდა იყოს არა ადგილების მიღებაზე, არა მოხელეობაზე, არამედ თვითმოქმედებაზე, რომლის საუკეთესო გამოხატულებას კოოპერატიული მოძრაობა შეადგენს და რაც აუცილებელი პირობაა ხალხის ქონებრივი და კულტურული აღორძინებისა.

გრ. გიგინეიშვილი.

ბა ლაპარაკისა და მოქმედების, რაც მეტის მეტად საწყენია, როგორც მაყურებელთათვის, ისე, ვგონებ, თვით პატივცემულ მსახიობ ქალისათვის. სანდროს როლისათვის ბ. აბდუშელი მეტად სუსტი გამოდგა, მის უძლურებას როლის შეუფერებლობაც უწყობდა ხელს.

დასასრულ რომ ბ. გუნიას მხიარული ვოდევილი არ მოსწრებოდა. დარბაზს ტკბილი ძილი დაეუფლებოდა. წარმოდგენას საზოგადოება ცოტა დაესწრო. **კოლხი.**

გორი. კვირას, 25 ნოემბერს, ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს დარბაზში ტფ. ქართულ თეატრის მსახიობთა დასმა წარმოადგინა ჩვენი ნიჭიერი დრამატურგის ნ. შიუკაშვილის დრამა „სიმახინჯე“.

წარმოდგენამ, რომელსაც თვით ავტორიც დაესწრო საუცხოვოდ ჩაიარა და საზოგადოებას ძალიანაც მოეწონა როგორც შინაარსი პიესისა, ისე მსახიობთა ხელოვნური თამაში. ბ. შიუკაშვილი რამდენიმეჯერ გამოიწვიეს სცენაზე. ტაშის ცემასა და „ვაშას“ ძახილს საზღვარი არა ჰქონდა. ხალხი ჩვეულებრივთან შედარებით ბევრი დაესწრო... **ს.**

ქუთაისი. შაბათს, 24 ნოემბერს, ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა გამართა მეტად ორიგინალური წარმოდგენა, რომელსაც მისცა საერთო სათაური „მწუხრი“. წარმოდგენილ იქმნა: სცენები დ. კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“-დან, შარჟები „სამშობლო“-დან, „ლალატი“ დან, ნარევი და სხ. წარმოდგენა მეტად მხიარული აღმოჩნდა, თუმცა ეს მხიარულება ცრემლში ნალესი ნაღველით იყო შეზავებული. ძლიერ მოგეწონა საზოგადოებას განსაკუთრებით სცენები „სამანიშვილის დედინაცვალი“-დან, სადაც ჩვენს ნიჭიერ ბელეტრისტს დავით კლდიაშვილს შესანიშნავი სინამდვილით აქვს აწერილი აზნაურის პლატონ სამანიშვილის გასაჭირი, რომელიც თავზარდაცემულია იმის შიშით, ვაი თუ მამაჩემს შვილი შეეძინოს და მონაწილე გამიჩნდესო. ეს მშვენიერი, მხატვრული სცენები დიდის ხელოვნებით, უნაკლულოდ დაგვიდგა თვალის წინ მსახიობმა ვ. არაბიძემ. გულით სიცილს საზღვარი არ ჰქონდა. ბევრი აცინა საზოგადოება შ. შარაშიძის შარჟებმა, განსაკუთრებით „ლალატი“-დან, რომელიც მეტად მოხდენილად, შინაარსიანად იყო შედგენილი. ძლიერ კარგი იყო ქართული წარმოდგენა“-ც, სადაც აღწერილია, თუ რა „წესიერება“ სუფევს ჩვენს თეატრში წარმოდგენების დროს. არა უშავდა „სინემატოგრაფსაც“; მხოლოდ „სამშობლო“-დან გადმოკეთებული შარჟი კი როგორც თავისი შინაარსით, ისე წარმოდგენით ძლიერ სუსტი იყო. წარმოდგენამ სავსებით დააკმაყოფილა საზოგადოება, რომელიც სამწუხაროდ ნაკლებად დაესწრო მას. ძლიერ კარგი იქნება, რომ დასი ხსენებულ წარმოდგენას ხელმეორედ გაჰმართავდეს.

— კვირას, 25 ნოემბერს, წარმოდგენილი იქმნა ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. ეს ერთი იმ პიესათაგანია, რომელსაც ადგილობრივი დრამატიული დასი საუცხოვოდ ასრულებს და რომელიც საზოგადოებას ბლომად იზიდავს. პიესის უმთავრეს როლებს ასრულებდენ: ნ. ჩხეიძის ასული (ოლგა ნიკოლაევნა), ა. იმედაშვილი (გლუხოვცევი), გ. არადელი-იმხნელი (ონუფრი), მ. ქილარჯიშვილის ასული (ევდოკია ანტონოვნა), ა. სანდალიძე (ბლახინი) და სხ. ნ. ჩხეიძის ასულისა და ბ-ნ იმედაშვილის შესახებ ახალს ვერას ვიტყვით, რადგან ისინი ისევე მშვენივრად ასრულებდენ ხსენებულ როლებს, როგორც მრავალჯერ უნახავს საზოგადოებას. ბ-ნს იმხნელს მეტად საპასუხო როლი ჰქონდა და გვეგონა, ვერ დასძლევდა. პირველ მოქმედებაში ჩვენს ექვს ცოტაოდენი საფუძველიც მიეცა, მაგრამ შემდეგს მოქმედებებში არამც თუ ეს ეჭვი სრულიად გაიფანტა, ბ-ნ იმხნელის თამაშმა მოჰხიბლა საზოგადოება. მან გააცოცხლა სცენაზე „მყუდრო ოჯახის“ მოტრფიალე ყველას ნაცნობი ონუფრი ნიკოლაევიჩი. გვინახავს ამ როლის კარგად შემსრულებელნი როგორც ქართულად, ისე რუსულად, მაგრამ ასე მოხდენილად, ასე ბუნებრივად, ძალდაუტანებლად რომ ვისმე ეთამაშოს, ეს კი არ გვინახავს. ხანდისხან სტყუოდა ბ-ნი იმხნელი, თავის სიტყვებს უმატებდა პიესაში, მაგრამ ისე მოხდენილად, რომ გეგონებოდით, ეს სიტყვები ანდრეევის პიესის გადაბეჭვდის დროს გამორჩენიათ და ახლა უმატებენო. ბ-ნმა სანდალიძემ მოგვანატრა მსახიობი ბარველი ბლახინის როლში. ქ-ნი ქილარჯიშვილის ასულმა კარგად ჩაატარა ევდოკია ანტონოვნას როლი, თუმცა ცოტათი კი მოიახალგაზდებდა. ბ-ნი ხონელი კარგი იქნებოდა მირონოვის როლში, რომ ხმას არ შეეშალა ხელი. საზოგდოდ უნდა ვსთქვათ ბ-ნ ხონელის შესახებ, რომ თუ მან თავისი ხმა კარგად არ გადაამუშავა, ისე მის თამაშს აროდეს ექნება სასურველი შთაბეჭდილება.

ისარა.

ქ. ბათომი. 27-ს ნოემბერს, შმაევსკის თეატრში „მოგზაურის“ დასმა წარმოადგინა „პირინეის მგელი“ (კაროლინგები) ტრაგედია ხუთ მოქ. ე. ვილდენბრუხისა — თარგმანი ან. მეძ—შვილის მიერ. ეს პიესა შეეხება იტალიის იმ დროის ცხოვრებას, როდესაც იქ სწარმოებდა გამწვავებული ბრძოლა ტახტის მემკვიდრეობისათვის. უმთავრესი მომქმედი პირი ამ პიესაში ბერნგარდი, ბარცელონის გრაფი (კორიშელი, რომლის საბენეფისოდაც იყო ეს წარმოდგენა დანიშნული) მეტად მოქნილი გაიძვერა ადამიანი—ყოველ ღონესა ხმარობს, რომ ლუდოვიკოს უფროსი შვილები მოღალატედ გამოიყვანოს მამის წინაშე და მესამე შვილს კარლოსს (მეორე ცოლისაგან ნაყოლს) დაადგმევინოს გვირგვინი. იგი მოაწამვლინებს ლიუდოვიკს და დედოფალს კი თითონ შეიყვარებს, მაგრამ ბოლოს იგმირება ლიუდოვიკოს უფროსი ვაჟიშვილის მახვილისაგან. ბ. კორიშელმა ჩვეულებრივ კარგად შეასრულა თავისი დიდი როლი, და მრავალის ტაშის ცემითაც დააჯილდოვეს მიართვეს აგრეთვე საჩუქრებიც. კარგი იყო აბდალა, ზანგი (ყალაბეგაშვილი) შესაფერად ეჭირა თავი სცენაზე... ანდრონიკაშვილისა (ზანგის ქალი) კარგი იყო თავისი გრიმით, მაგრამ როგორც მას შეჰფერის კარგი თამაში—ამ ჯერად ცოტა მოისუსტებდა—ზოგიერთებს როლის უცოდინარობაც ეტყობოდათ. ვალლა, კარდინალი (ხურციძე) კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი ლაპარაკით მაყურებელზე... თვით ლიუდოვიკო, მამა, (დადიანი) კარგი იყო, განსაკუთრებით მეორედ გამოსვლის დროს.

ტრ. ი—ძე.

ჩვენი ფოსტა

ა. მეფარიძეს (ჯავანშირის მაზრა). მაგნაირ წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია. სხვა რამ ზომას მიჰმართეთ.

ნოლელს (სადგ. საჯავახო). კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ჟურდელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № [illegible], საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვოდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62. დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 2 ს 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**— შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევ.** შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ.**, **პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“ საზოგადოების გემებისა

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდა ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ; 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დამარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

განცხადებანი

საჭირო არის მამული
სასყიდლად
5 ათას დესეტინიდან 10 ათას დესეტინამდე.
მისამართი: გოლოვინის პროსპექტი, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2.
ვთხოვ დალალებს ნუ შეწუხდებიან. 828

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.



მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები. 683.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა.

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვისა ქუჩის ქიმში, **№ 34,** ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში [illegible] საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგ. ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე [illegible]იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ახლდებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** 1037.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ავანესოვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვა: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინა: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. შ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ბეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი
წამალი
„SALO—პიხილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
წ. 1161

ოქროს საათი ხრონომეტრი 56 კაპიკის.

ოქროს საათის ადგილ[illegible] ლიც 200 მ. მაგიერ 4 მ[illegible] ღირს, გირჩევთ **ხრონომეტრს**, რომელიც [illegible] მოხდენილობით ოქროს საათს არ ჩამოუვარდება, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც კი ძნელად გაარჩევს ნამდვილ ოქროში. საათი ბეჭდილია სისქით ვერცხლის მანეთიანის ოდენა ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსი, თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს შტამპ. და ორიგ სურათ. (იხ. სურათ). საათი **ხრონომეტრი** კაცებისა თუ ქალებისა მუდამ სწორედ დადის, ნამდვილი ანკერია 15 ქვიანი და 40 საათში ერთხელ იმართება. ჩვენი ფირმის გავრცელებლად ყოველ საათს საჩუქრად ვატან 20 სხვა და სხვა ნივთს: 1. ნამდვილ ამერიკ. ოქროს ძეწკვს, 2. ბრელოკს კინემატოგრაფ. მშვენიერ ქალის სახით, 3. ზამშის ტყავ. საათის ბუდეს, 4. ქურდებისაგან საათის უზრუნველმყოფელს, 5—8 ჯიბის ნესესერს ტყავისას 4 აუცილ. საჭირო ნივთით, 9. საზღვარ-გარეთის ნაკეთებ 7 განყოფილებიან ს ფულის. 10 შემკვეთელის სახელ-გვარიან შტემპელს, 11. შტემპელისათვის სალებავი, 12. დაბეჭ. ბეჭედს ნამდ. ამერ. **დუბლესას**, 13. პარიჟის პლასტოგ. ყოველგვარ სანახაობის ნამდვილად მაჩვენებელი, 14—19 ამ პლასტოგ. 6 მეტ. და სხვ[illegible] სურათი. 20. სპეკტრო ბინოკლი 4 ახრომ. ჩვეულებრივ ზომის შუშით, რომელიც შორის მანძილიდან ძალიან აახლოვებს საგნებს ყველა ეს მხოლოდ 4 მ. 70 კ. 2 საათი—9 მ. 30 კ. 3 ეთივე სახურავებიანი 5 მ. 70 კ. 2 ასეთი საათი—11 მ. 20 კ. ექვსის წლის თავდებობით. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გასაგზავნი—40 კ., ციმბირში—75 კ.

მისამართი: Складъ часовъ Т-во „Аккуратность“, Варшава, отд. 73.
მეტცლ. № 61279. 1590

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას.
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

ახალი ჟურნალი
„განთიადი“
1913 წლის პირველ იანვრიდან
ქ. ქუთაისში გამოვა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი
„ანთიადი“

ჟურნალში იქნება შემდეგი განყოფილებანი: 1) ღვთის მეტყველება და ფილოსოფია: 2) არქეოლოგია და ისტორია (სამოქალაქო და საეკლესიო; 3, პოლიტიკა და ეკონომია; 4 მედიცინა და ჰიგიენა; 5 ბელეტრისტიკა და პოეზია; 6) სასოფლო მეურნეობა; 7) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 8) შინაური და უცხოეთის მიმოხილვა; 9) საეკლესიო საბჭოთა და სათათბიროს, და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ანგარიში; 10 მამათა ცხოვრება; 11) მოძღვრებანი და ქადაგებანი მთელი წინამდებარე თვის უქმი დღეებისა. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში და ეღირება წლიურად 5 მანეთი, ნახევარი წლით 3 მანეთი, ოთხი თვით 2 მანეთი და 10 შაური; ცალკე ნომერი ყველგან 10 შაური. „შინაურ საქმეებზე“ ხელის მომწერლებს ჟურნალი წლიურად 4 მანეთად დაეთმობათ, ამავე ფასში ეთმობათ ჟურნალი სახალხო სკოლების მასწავლებლებს და სახალხო უფასო სამკითხველოებს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება თავის სკოლებისათვის ჟურნალი 3 მანეთად და 10 შაურად ეთმობა. ჟურნალის დაკვეთა შეიძლება დღეიდგანვე ქ. ქუთაისში ი. კვიცარიძის გაზეთების კანტორაში, მთავარიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში და რედაქტორთან. წლიური ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი და პირველ ივნისს 2 მანეთი.

რედაქციის ადრესი ქ. ქუთაისი რედაქცია „განთიადი“.
1615 რედაქტორ-გამომცემელი **მღ. ს. მჭედლიძე.**

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.

19 თელერლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ექიმების მიერ:	დილით:
[illegible]	**სპექტორი გ. მ.** . . .	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11 ს.
	იაშვილი ა. ო. . . .	11—12 ს.
	აბაკელია ი. კ.	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½ ს.
[illegible]	**გრიგორიანი ა. ი.** . . .	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1 ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½ ს.
[illegible]	**გრიგორიანი ა. ი.** . . .	11—12 ს.
[illegible]	ექ.-ქალ. **საყვარელიძე დ. გ.**	11—12 ს.
	ლოლობერიძე	12½—1½ ს.
[illegible]	**შტრეიხერი მ. ა.** . . .	12 12½ ს.
[illegible]	**შაპელნიკოვი გ. ი.** . . .	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“** და „914“, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი ფასებით. 1581

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმეველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9-I
ტელეფონი № 712.
1131

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული ლოში, ზურგიელი,**
და ყოველგვარი
◆ შავი ხიზილალა ◆

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.